2015

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი N1

პერიოდული გამოცემა,
გაზაფხული 2015

,,უდიდესი წვლილი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას შეუძლია შეიტანოს ქვეყანაში დანაშაულის შემცირების მაჩვენებელზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვეპყრობით პატიმრებს''

ნელსონ მანდელა

გამოცემულია ევროკავშირის ხელშეწყობით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებაზე სრულად არის პასუხისმგებელი ავტორი და ის არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 4

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი 5

3. მთავარი მოვლენა 6

3.1. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლება მიენიჭა 6

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 7

4.1. განხორციელებული ვიზიტები 7
4.1.1. თემატური ვიზიტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 7
4.1.2. ხანდაზმულთა პანსიონატებში განხორციელებული მონიტორინგი 7
4.1.3. რელიგიური კონფენსიების ბავშვთა სახლების მონიტორინგი 7
4.1.4. ვიზიტი ბათუმის N3 დაწესებულებაში 8
4.2. დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან 9
4.3. ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 11
4.4. სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 11
4.4.1. სამუშაო შეხვედრა: ფსიქიატრიულ დაწესებულებათა მონიტორინგისთვის სახელმძღვანელოს შექმნა 11
4.4.2. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ტრენინგი 12

5. ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა დახურული ტიპის დაწესებულებებში 12

6. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ 14

6.1. ბათუმის N3 სასჯელაღსრულების დაწესებულების მიმოხილვა 14

7. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 14

7.1. რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა 14

8. საკანონმდებლო მიმოხლვა 16

8.1. საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში 16
8.2. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა 18
8.2.1. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვის საშუალებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 18
8.3. საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობაში 20
8.3.1. სამარტოო საკანში მოთავსები ვადა 14 დღემდე შემცირდა 20

9. ფოკუსი 20

9.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წესრიგი და უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 20

10. ექსპერტის მოსაზრება 21

11. საერთაშორისო სიახლეები 23

12. მომავალი ღონისძიების შესახებ ანონსი 24

1. სახალხო დამცველის მისალმება

აღნიშნული ბიულეტენი წარმოადგენს პრევენციის ეროვნული მექანიზმის პირველ კვარტალურ გამოცემას. მას აკისრია ინფორმაციულ-საგანმანათლებლო ფუნქცია და შეიცავს ინფორმაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის, განხორციელებული საქმიანობისა და წამების პრევენციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საქართველოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მნიშვნელოვანი როლი აკისრია დახურულ დაწესებულებებში მყოფი პირების წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვაში. მისი მანდატის ფარგლებში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სისტემატიურად განხორციელებული პრევენციული ვიზიტები საშუალებას მაძლევს შევისწავლო თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებრივი მდგომარეობა და შევაფასო, არსებობს თუ არა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ჩადენის რისკფაქტორები. ყოველი ვიზიტის შემდეგ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დგება ანგარიში, რის საფუძველზეც დახურულ დაწესებულებებში მყოფ პირთა მიმართ მოპყრობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, რეკომენდაციებით მივმართავ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია ყოველთვის სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით პატიმრების ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული რეალური და იმწუთიერი რისკების ადეკვატური შეფასება და შესაბამისი ზომების მიღება. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც წამება და არასათანადო მოპყრობა ნაკლებად მოსალოდნელია. არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, აუცილებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერა, მისი ფუნქციების განმტკიცება, პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა (მათ შორის ოპერატიულ ინფორმაციაზე) და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაცნობის უფლების მინიჭების შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა; ამჟამად არსებული თანამშრომლობისა და რეკომენდაციებზე რეაგირების ფორმატის შემდგომი გაძლიერება.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მუდმივად უნდა ცდილობდეს სამუშაო მეთოდოლოგიის განახლებას, თანამშრომელთა განგრძობადი პროფესიული სწავლების უზრუნველყოფასა და ამ გზით საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. ამ მხრივ, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა არაერთი აქტივობა განახორციელა. სიახლეთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მულტიდისციპლინური დაკომპლექტების პრინციპის გათვალისწინებით სპეციალური პრევენციული ჯგუფის განახლება. პრევენციის ეროვნული მექანიზმი მომავალშიც არაერთი აქტივობის განხორციელებასა და სხვადასხვა სიახლეების შემოთავაზებას გეგმავს.

საქართველოს სახალხო დამცველი

უჩა ნანუაშვილი

2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი

2009 წლიდან საქართველოში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან შეიქმნა სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომლის უფლებამოსილებები განსაზღვრულია „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.

წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმის დებულებების განმარტების მიზნით, წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა გამოსცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის მიზანია პასუხი გასცეს პრაქტიკაში წამოჭრილ რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას.[1] სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია რამდენიმე ძირითადი მიზანი, რომლის თანახმადაც პრევენციის ეროვნული მექანიზმი ზედამხედველობის დამატებით სისტემას წარმოადგენს და არ ცვლის არსებულს, ან არ გამორიცხავს ზედამხედველობის სხვა სისტემების შექმნას.[2] პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და უფლებამოსილება განსაზღვრული უნდა იყოს საკანონმდებლო აქტში და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონალური დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ან შეზღუდვის ყველა დაწესებულებაზე, როგორც ეს განსაზღვრულია ფაკულტატური ოქმის მე-4 მუხლით.

წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები მუდმივად უნდა აწარმოებდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების განხილვას.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფა განგრძობადი ვალდებულებაა და შესაბამისად მუდმივად უნდა მოწმდებოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე თავად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ. ამასთან, ამ პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული წამების პრევენციის ქვეკომიტეტის შესაბამისი მოსაზრებები.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საკუთარი მანდატის თითოეული ასპექტის შესრულებისას, ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს მოეთხოვებათ რეგულარულად გადასინჯონ მათი საქმიანობის მეთოდოლოგია და ქმედუნარიანობის ასამაღლებლად გაიარონ შესაბამისი სწავლება.[3]

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა უნდა შეიმუშავოს სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში სახელმწიფოს ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ყველა ადგილის მონახულებას და იქ შესაბამისი შემოწმების ჩატარებას. საქმიანობა უნდა დაიგეგმოს და რესურსები გადანაწილდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილების ისეთი სიხშირით მონახულება, რაც ეფექტიან წვლილს შეიტანს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის საქმეში.[4]

2014 წლის ოქტომბრიდან პრევენციის ეროვნული მექანიზმი დახურულ დაწესებულებაში ყოველი გეგმური ვიზიტის შემდგომ გამოსცემს ანგარიშებს, ასევე წლიურ და სხვა ფორმის ანგარიშებს, საჭიროების შესაბამისად. ამგვარი ანგარიშები, სადაც ეს აუცილებელია, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც თავის მხრივ შემუშავებული იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის შესახებ მიღებული ნორმების, მათ შორის, წამების პრევენციის ქვეკომიტეტის კომენტარებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ვალდებულია სრულად დაიცვას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.[5]

---

[1] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, წამების პრევენციის ქვეკომიტეტი, 2010, პარ. 2.

[2] იქვე პარ. 5

[3] პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები, პარ. 30-31

[4] იქვე პარ. 33-34

[5] იქვე პარ. 36-37

3. მთავარი მოვლენა

3.1 სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლება მიენიჭა

2015 წლის 1 მაისს „პატიმრობის კოდექსში“ შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმად, 2016 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი უფლებამოსილი იქნება მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესისა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით, განახორციელოს მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის ფოტოგადაღების უფლების მინიჭების თაობაზე, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2013 წლის ყოველწლიურ ანგარიშში ასახული საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამეტს.

ასევე, საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის 23 ივლისს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და საქართველოს კანონში „პატიმრობის კოდექსი“ ცვლილებების თაობაზე საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამეტის თავმჯდომარეს. კანონპროექტი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის უფლების მინიჭებას, მოეხდინა თავისუფლების აღკვეთის და შეზღუდვის ადგილებში მყოფი პირების სხეულზე არსებული დაზიანებებისა და მათი საცხოვრებელი პირობების ფოტოგადაღება.

ამასთან, 2015 წლის 28 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა, რომლის უმთავრეს საკითხს საქართველოს სახალხო დამცველისთვის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის, პენიტენციურ დაწესებულებაში ფოტოგადაღების უფლებამოსილების მინიჭების ინიციატივა წარმოადგენდა. კანონპროექტის განხილვისას, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მიესალმა სახალხო დამცველის ინიციატივას და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებული მუხლის ფორმულირების შემუშავებისკენ მოუწოდა. კანონპროექტის განხილვის შემდგომ ეტაპზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი კომიტეტის წარმომადგენლის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებისა და სახალხო დამცველის აპარატის მონაწილეობით. მუშაობის პროცესში სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმებით, ფოტოგადაღების უფლება „პატიმრობის კოდექსში“ შესატან ცვლილებათა პაკეტში აისახა და საბოლოოდ მიღებულ იქნა.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის გაძლიერებისთვის ფოტოგადაღების უფლებამოსილების მინიჭება ხელს შეუწყობს როგორც პრევენციისა და მონიტორინგის ფუნქციის უფრო ეფექტურად განხორციელებას, ასევე, სასჯელაღსრულების სისტემის გამჭვირვალობას და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას. ფოტოგადაღების უფლების შეძენა მნიშვნელოვანად გააუმჯობესებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირებას, რაც ამ დანაშაულთა ეფექტური გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონიტორინგის განხორციელების პროცესში ფოტო დოკუმენტირების წარმატებული პრაქტიკა ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებობს. მათ შორის, ჩეხეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლუქსემბურგში, სერბეთში, სლოვენიაში, შვედეთში, მაკედონიაში და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის, პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტო გადაღების უფლებამოსილების მინიჭებას ჩეხმა კოლეგებმაც დაუჭირეს მხარი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართვა გაუგზავნეს.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული ცვლილება წინგადადგმული ნაბიჯია თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებათა

დაცვის, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულის პრევენციისათვის.

4. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

4.1 განხორციელებული ვიზიტები

4.1.1 თემატური ვიზიტები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონიტორინგის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტს ახორციელებს. აღნიშნული პროექტის ამოცანაა საჩივართა განხილვის პროცედურისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, აგრეთვე სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დონის შეფასება, პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. პროექტის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის მექანიზმისა და შიდა მონტორინგის გაძლიერების ხელშეწყობა.

აღნიშნული მონიტორინგი მოიცავს სამაგიდე კვლევას და საველე სამუშაოებს. სამაგიდე კვლევის ფარგლებში ხორციელდება სამართლებრივი დაცვის საშუალებების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სოციოლოგი. მონიტორინგში მონაწილეობა მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა.

საველე სამუშაოების ფარგლებში უკვე განხორციელდა პატიმართა ინტერვიუირება წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად N2, N3, N5, N6, N7, N8, N9, N11, N12, N14, N15, N17, N18, N19 დაწესებულებებში. გამოიკითხა 1 965 პატიმარი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეისწავლეს და გამოითხოვეს ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის დასამუშავებელი საქმის მასალები.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოპოვებული მონაცემების ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და საბოლოო, სპეციალური ანგარიშის მომზადება, რის შემდეგაც მოხდება ამ ანგარიშის პრეზენტაცია.

4.1.2 ხანდაზმულთა პანსიონატებში განხორციელებული მონიტორინგი

2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 5 აპრილის ჩათვლით, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად განახორციელეს მონიტორინგი ხანდაზმულთა შემდეგ სახლებში:

- ✓ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი;
- ✓ თბილისის მოხუცებულთა და შშმპ პანსიონატი „ჩემი ოჯახი“;
- ✓ თბილისში ააიპ „დიოდორა“;
- ✓ სიღნაღში; სოფელი წნორი „ბეთელი“;
- ✓ სიღნაღში, სოფელი ბოდბისხევი „უზრუნველი სიბერე“;
- ✓ ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატში;
- ✓ ოზურგეთში, სოფელი ანასეული, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“.

4.1.3 რელიგიური კონფესიების ბავშვთა სახლების მონიტორინგი

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა და სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის თანამშრომლებმა რელიგიური კონფესიების ბავშვთა სახლების მონიტორინგი განახორციელეს და მოინახულეს შემდეგი დაწესებულებები:

- ✓ ქობულეთის პანსიონი (მედრესე);
- ✓ ა(ა)იპ ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა სახლი;
- ✓ ხელვაჩაურის სოფელ ფერიას პანსიონი (მედრესე);
- ✓ ნინოწმინდის წმინდა ნინოს ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში.

4.1.4 ვიზიტი ბათუმის N3 დაწესებულებაში

საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 7-9 მაისს სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში განხორციელდა განმეორებითი[6], საკონტროლო ვიზიტი. მომზადდა ვიზიტის შემდგომი ანგარიში. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. N3 დაწესებულების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იყო მათ ხელთ არსებული და ჯგუფის მიერ მოთხოვნილი, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

დაწესებულებაში არის 47 საკანი (განკუთვნილი 2, 4 და 6 პატიმრის განთავსებისთვის) და ერთი 8 საწოლიანი საკანი სამეურნეო ნაწილში დასაქმებული პატიმრებისთვის. ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 193 პატიმარი, მათ შორის 104 მსჯავრდებული და 89 ბრალდებული, აქედან 5 ქალი ბრალდებული. 2015 წლის 7-9 მაისის მდგომარეობით,

2014 წლის 23-24 ოქტომბრის მდგომარეობასთან შედარებით, გაზრდილია პატიმართა საერთო რაოდენობა, დაკლებულია ბრალდებულთა რაოდენობა, ხოლო მსჯავრდებულთა რაოდენობა გაზრდილია.[7]

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში პატიმრების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი პრობლემებია.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2014 წლის 23-24 ოქტომბერს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შემუშავებული და გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ფაქტობრივად არ შესრულებულა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი მიესალმება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სწავლებას მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, თუმცა ტრენინგების ჩამონათვალი ნაკლებად რელევანტურია N3 დაწესებულებაში არსებულ არასათანადო მოპყრობისა და უსაფრთხოების რისკებთან მიმართებით, ვერ პასუხობს ობიექტურად არსებულ საჭიროებებს.

მწვავედ დგას არასათანადო მოპყრობის პრევენციის საკითხი. ვიზიტის დროს აშკარა იყო თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება, რაც პატიმრების არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების დოკუმენტირება სამედიცინო პერსონალის მიერ კვლავაც ხარვეზებით მიმდინარეობს.

არაპროპორციულად და დაუსაბუთებლად ხდება უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება. დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. შედეგად, დაწესებულებაში რჩება დაძაბული და კონფლიქტური სიტუაცია, თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი.

საგულისხმოა, რომ გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. სამწუხაროდ, ისევ აქვს ადგილი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსებას. პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურებაზე სათანადო ხელმისაწვდომობის არ არსებობა. სასჯელაღსრულების N3 დაწესებულება შესაბამისი მედიკამენტებით არ მარაგდება. დაწესებულებაში არ არის მენიუ დიაბეტით დაავადებული პატიმრებისთვის. საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები.

კვლავაც პრობლემად რჩება დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, არ მომხდარა პატიმრების სათანადო ხელოვნური ვენტილაციით, ბუნებრივი განათებითა და მუდმივი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს საკმარისი რესურსი. პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა

[6] სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2014 წლის 23-24 ოქტომბერს.
[7] 2014 წლის 23-24 ოქტომბერს, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში იმყოფებოდა 87 მსჯავრდებული და 93 ბრალდებული.

დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით.

N3 დაწესებულებაში განთავსებისას პატიმართა ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა აფერხებს პაემნის უფლებით სარგებლობას. ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინით გადატიხრულ ოთახებში, რის გამოც პატიმარი თავის ოჯახის წევრებთან ფიზიკურ კონტაქტს ვერ ამყარებს. სატელეფონო ზარი საკმარისი რაოდენობითა და კონფიდენციალურობის დაცვით ვერ ხორციელდება. არ ხდება დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება.

4.2 დიალოგი დაინტერესებულ მხარეებთან

მანდატიდან გამომდინარე საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი დიდ ყურადღებას უთმობს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. როგორც მდგომარეობის შესწავლის და რეკომენდაციების შემუშავების პროცესი, ასევე ამ რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირება და შესრულების მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გარეშე. ამ მიმართულებით, 2015 წლის გაზაფხულის პერიოდში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა:

- სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ნიკა კვარაცხელია გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ახლადშექმნილი საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის პრინციპები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტთა განახლებული შემადგენლობა განიხილეს.

უჩა ნანუაშვილმა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ და ხაზი გაუსვა სპეციალური ანგარიშების მნიშვნელობას, რომელიც უკვე წელიწადში რამდენჯერმე ქვეყნდება და დახურულ დაწესებულებებში გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტის შედეგებს ასახავს. გაეროს წამების ქვეკომიტეტის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს ომბუდსმენის აპარატის მხრიდან საკანონმდებლო ცვლილების მოთხოვნის ფაქტი, რომელიც დახურულ დაწესებულებებში ფოტო გადაღებას გულისხმობს. გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წარმომადგენლებმა პრევენციის ეროვნულ მექანიზმსა და ომბუდსმენის აპარატს სრული მხარდაჭერა აღუთქვეს და საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმატებული გამოცდილების სხვა ქვეყნებში გაზიარების ინიციატივით გამოვიდნენ.

- 2015 წლის 6 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველმა, როგორც „A“ სტატუსის მქონე ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტმა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) სამუშაო ჯგუფის 23-ე სესიისთვის წერილობითი მოსაზრება წარადგინა. წერილობითი მოსაზრება UPR-ის პირველი ციკლის ფარგლებში საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციის საკითხს შეეხება.

წერილობით მოხსენებაში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება, სხვა საკითხებთან ერთად, გაამახვილა პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ შესაძლო უფლება-დარღვევებზე.

2015 წლის 13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი, გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის

სპეციალური მომხსენებლის დელეგაციის წარმომადგენლები ეწვივნენ.

შეხვედრაზე განიხილეს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და პრევენციის კუთხით არსებული ვითარება. სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ და იმ ცვლილებებზე რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური მუშაობის მიზნით განხორციელდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისთვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებას გულისხმობს.

სახალხო დამცველი ჟენევაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდა.

სახალხო დამცველმა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ და იმ ცვლილებებზე, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური მუშაობის მიზნით განხორციელდა. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებაზე, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებისთვის დახურულ დაწესებულებებში ფოტო-ვიდეო გადაღების უფლების მინიჭებას გულისხმობს

- 2015 წლის 24 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე სახალხო დამცველმა მთავრობის მეთაურს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა თვალსაზრისით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია მიაწოდა. ასევე განიხილეს ადამიანის უფლებათა საკითხებში საქართველოს მთავრობის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მთავრობის საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში 2014-2015 წლებისთვის.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი აქტიურად იყო ჩართული წამებასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. გაიმართა არაერთი შეხვედრა და აქტიური დისკუსიის შემდგომ შემუშავდა წამების წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2015-2016).

- 2015 წლის 21 და 22 მაისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახელისუფლებო უწყებების წარმომადგენლებმა საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ 2014 წლის ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა 2014 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით

გამოკვეთილ ტენდენციებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა.

- 2015 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოებისადმი 2014 წელს გაცემული რეკომენდაციები წარმოადგინა.

- 2015 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე – „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა: მიღწევები და გამოწვევები“.

ღონისძიებაზე საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად მოხსენება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ორგანიზაცია Human Rights Watch-ის წარმომადგენელმა გიორგი გოგიამ, დებატებს ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სტუდენტები, ჟურნალისტები, თემით დაინტერესებული სხვა პირები.

- პრევენციის ეროვნული მექანიზმი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრთან“. პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის თანამშრომლები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ახორციელებენ ვიზიტებს სასჯელაღსრულების N5 (ქალთა) და N11 (არასრულწლოვანთა) დაწესებულებებში.

- 15 აპრილს გაიმართა შეხვედრა „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის ოფისის ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე საუბარი შეეხო თავისუფლების აღკვეთის/შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას და სამომავლო თანამშრომლობას.

4.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა მონაწილეობა მიიღო 2 მარტს, სტრასბურგში გამართულ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის კონფერენციაში (CPT at 25: Taking stock and moving forward). კონფერენციაზე განიხილეს კომიტეტის წინაშე არსებული გამოწვევები. ხაზი გაუსვეს წამების პრევენციის საქმეში პრევენციის ეროვნული მექანიზმების როლს, მათ თანამშრომლობას ამ მექანიზმებთან და გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან. 4 თემატურ პანელში გაიმართა დისკუსია დაუსჯელობასთან ბრძოლის, პენიტენციური ჯანდაცვის და პატიმართა იზოლაციის საკითხებზე, ასევე ფსიქიატრიული დაწესებულებების მიმართ კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებზე.

4.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

4.4.1 სამუშაო შეხვედრა: ფსიქიატრიულ დაწესებულებათა მონიტორინგისთვის სახელმძღვანელოს შექმნა

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით 10-11 მაისს, ქალაქ ბათუმში შედგა სამუშაო შეხვედრა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის გაიდლაინების შემუშავების მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის წარმომადგენელი, სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები. შეხვედრის სტრუქტურა მოიცავდა საერთო დისკუსიებსა და ჯგუფურ მუშაობას. შეხვედრის შედეგად შემუშავდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის გაიდლაინების სამუშაო ვერსია, რომელიც კომენტარებისთვის გადაეგზავნა წამების პრევენციის ევროპის კომიტეტის ექსპერტს დოქტორ კლაივ მიუს.

გაიდლაინების შემუშავება დაეხმარება სპეციალური პრევენციულ ჯგუფს ეფექტურად განახორციელოს მონიტორინგი.

4.4.2 გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ტრენინგი

2015 წლის 15 მაისს საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფისში, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის ჩატარდა გაეროს ლტოვილთა უმაღლესი კომისარიატის ტრენინგი „საქართველოს საზღვრებზე და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა უფლებების დაცვაზე“. ტრეინინგზე განიხილეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო პრინციპები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა მდგომარეობის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით.

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ტრენინგის მონაწილეებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგის შესახებ, რომელიც 2014 წელს პირველად განხორციელდა და საინტერესო სიახლეს წარმოადგენს.

5. ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა დახურული ტიპის დაწესებულებებში

2014 წელს პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უსაფრთხოების რისკის მიხედვით, განისაზღვრა ოთხი ტიპის დაწესებულება, სადაც პატიმრებს აქვთ დიფერენცირებული უფლებრივი მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ გარემონტდა და განახლდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 და N16 დაწესებულებები, რომელთა გახსნაც იგეგმება მიმდინარე წლის უახლოეს პერიოდში. ამ ორი დაწესებულების გახსნა სხვა დაწესებულებებში პატიმართა გადატვირთულობის პრობლემას შეამსუბუქებს.

პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ შეტყობინებათა საფუძველზე ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის შესახებ სახალხო დამცველის წინადადებათა მიუხედავად, არც ერთ შემთხვევაში პასუხისმგებელ პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და სახალხო დამცველს არ აქვს დეტალური ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. პრობლემურია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვა, ვინაიდან ისინი, ხშირ შემთხვევაში, იმავე დაწესებულებაში რჩებიან, სადაც, სავარაუდოდ, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები დაფიქსირდა.

სახალხო დამცველის აზრით, წამების და არაადამიანური მოპყრობის, დახურულ დაწესებულებებში პირთა გარდაცვალების ფაქტების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა

მნიშვნელოვანია, არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც წამება და არასათანადო მოპყრობა ნაკლებად მოსალოდნელია. ეს გულისხმობს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ძირეული მიზეზების აღმოფხვრას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების პრაქტიკა, მოხდეს ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პატიმრობის პირობების უზრუნველყოფა და უსაფრთხოების ღონისძიებების პროპორციული გამოყენება.

ამ კუთხით აუცილებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერა, მისი ფუნქციების განმტკიცება, პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებული საიდუმლო (მათ შორის ოპერატიულ) ინფორმაციაზე და სათვალთვალო კამერების ჩანაწერებზე წვდომა და ამასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა;

შეუძლებელია წამების და არასათანადო მოპყრობის ეფექტური პრევენცია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადეკვატური წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე.

განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ პრობლემურია წესრიგისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტები, კერძოდ კი, დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის არსებული კონფლიქტური ურთიერთობა, რასაც ემატება კონკრეტულ ვითარებაში სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა არაადეკვატური მოქმედება ან უმოქმედობა, საჩივრებზე არასათანადო რეაგირება და სერვისების შესახებ პატიმართა ნაკლები ინფორმირება. არასაკმარისია თანამშრომელთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე. აღნიშნულის ფონზე ხშირია პატიმართა

შიმშილობისა და თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პატიმართა შორის ძალადობის მაღალი რისკფაქტორების არსებობა და ციხის კრიმინალური სუბკულტურის გავლენა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვა.

სამწუხაროდ, პატიმართა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ხშირი გადაყვანის მზარდი ტენდენცია დღესაც შენარჩუნდა. სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას, შეისწავლოს გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, რადგან, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ოფიციალურად განმარტავს, გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის საიდუმლო წერილი, რომელიც შეიცავს ოპერატიულ ინფორმაციას, ხოლო, ამ ტიპის ინფორმაციის წვდომაზე სახალხო დამცველს დაშვება არ აქვს. საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში, პატიმრები გადაჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და პირიქით. შედეგად, პატიმრებს უჩნდებათ ოჯახსა და ადვოკატთან კონტაქტის შენარჩუნების პრობლემა და განიცდიან ახალ გარემოსთან ადაპტაციით გამოწვეულ დამატებით სტრესს.

განვლილ წლებთან შედარებით რიგ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ფიზიკური გარემო და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. პრობლემებს შორის აღსანიშნავია: დაწესებულებების ძირითად საცხოვრებელ, საკარანტინო და სამარტოო საკნებში სათანადო ხელოვნური ვენტილაციის უზრუნველყოფა; არასაკმარისი ბუნებრივი განათება-ვენტილაცია; დახურულ დაწესებულებებში პატიმართა სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა და ვარჯიშის შესაძლებლობა; დაწესებულებების სასეირნო ეზოებში საჭირო ინვენტარისა და პირობების არარსებობა; ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა.

დისციპლინარული სახდელების გამოყენების შემთხვევათა რაოდენობა 2013 წელთან შედარებით 2014 წლის პირველ კვარტალში გაორმაგდა. სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია, შემუშავებული ყოფილიყო დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები, არ შესრულებულა. ხშირია დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევები და იკვეთება დისციპლინური სახდელების არაპროპორციული გამოყენების პრაქტიკა.

მიუხედავად განხორციელებული რეფორმებისა, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში არაერთი არსებითი სახის პრობლემა რჩება. პრობლემას წარმოადგენს დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება და ექიმ-კონსულტანტების ვიზიტი სათანადო პერიოდულობით. აუცილებელია გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა პატიმრებს შეუფერხებლად მიუწვდებოდეთ ხელი დანიშნულ მედიკამენტებზე. შესაბამისად, არ არის სრულად დაცული მომსახურების ეკვივალენტობის პრინციპი. პენიტენციური ჯანდაცვის სისტემისთვის კვლავ განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება სუიციდის პრევენცია, წამალდამოკიდებულებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემა, ასევე ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრებისათვის დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა. პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების ანალიზი წარმოშობს გონივრულ ეჭვს გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობასთან მიმართებით.

აუცილებელია, გაძლიერდეს პატიმრების კონტაქტი გარე სამყაროსთან. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, ხანმოკლე პაემანი განხორციელებულიყო მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, სასჯელაღსრულების მთელ რიგ დაწესებულებებში ხანმოკლე პაემანი კვლავ მინის გამყოფ ბარიერს მიღმა მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოეწყოს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალთა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები.

6. ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესახებ

6.1 ბათუმის N3 სასჯელაღსრულების დაწესებულების მიმოხილვა

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულება მდებარეობს ბათუმთან ურეხის დასახლებაში, თევდორე მღვდლის ქ. N27. იგი წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, გათვლილია როგორც ბრალდებულთა, ასევე მსჯავრდებულთათვის.

ბათუმის N3 დაწესებულების შენობაში და ტერიტორიაზე მე-19 საუკუნიდან განთავსებული იყო რუსეთის იმპერიის და შემდგომში საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალები. შენობა 1960-იანი წლებიდან გადაკეთდა და ფუნქციონირება დაიწყო როგორც საგამოძიებო იზოლატორმა. 2000 წლის იანვრის თვიდან გარდაიქმნა N3 საპყრობილედ, ხოლო 2009 წლის აპრილის თვიდან – N3 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებად. ამჟამად დაწესებულებაში პატიმრების განთავსების ლიმიტი შეადგენს 557 პატიმარს.

ბათუმის N3 დაწესებულება 2013 წლის მარტში დაიხურა, აქ განთავსებული მსჯავრდებულები კი სხვადასხვა დაწესებულებაში გადანაწილდნენ. დაწესებულების მთავარი პრობლემა გადატვირთულობასთან ერთად, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, ანტისანიტარია და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა იყო. დაწესებულებაში არ არსებობდა გათბობის სისტემა, მწყობრიდან იყო გამოსული წყალ-კანალიზაციისა და ვენტილაციის ქსელი, კვების ბლოკში დარღვეული იყო ყოველგვარი ჰიგიენური ნორმები, არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა გრძელვადიანი პაემნებისთვის.

დაწესებულებაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები 2013 წლის 10 აპრილს დაიწყო. ერთი წლის განმავლობაში დაწესებულების სრული რეაბილიტაცია მოხდა.

გარემონტდა საკნები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა, საკანში საპირფარეშოებისთვის გამოიყო სივრცე, სადაც შესაძლებელია შხაპის მიღებაც. რემონტამდე საპირფარეშო ფაქტობრივად არ იყო კედლებით შემოსაზღვრული, რაც არღვევდა პირად სივრცეს. 3 ოთახი დაეთმო საექიმო-სამედიცინო პუნქტს, რომელიც ციხის დახურვამდე ერთ ოთახში იყო განთავსებული. აღნიშნულ ოთახებში მოეწყო პირველადი ჯანდაცვის და სანიტარული განყოფილებები, ასევე სტომატოლოგიური კაბინეტი, რომელიც მანამდე ციხეში არ არსებობდა. გარემონტდა და მოეწყო ამანათების მიმღები, სატელეფონო საუბრების, ხანმოკლე პაემნებისა და ადვოკატთან შეხვედრებისთვის განკუთვნილი ოთახები; მოეწყო ინფრასტრუქტურა ხანგრძლივი პაემნისთვის, რომლის განხორციელება აქამდე შეუძლებელი; განახლდა სამლოცველო და ბიბლიოთეკა; განახლდა და ნაწილობრივ გადაიხურა სასეირნო ეზო, სადაც დამონტაჟდა სკამი და სავარჯიშო ძელი. გაიმართა საკანალიზაციო სისტემა.

ბათუმის N3 დაწესებულება 557 კაცზე იყო გათვლილი, თუმცა 2013 წლამდე აქ 1 200-მდე პატიმარიც ყოფილა და ერთ მსჯავრდებულზე ნახევარი კვადრატული მეტრი ფართიც არ მოდიოდა.

7. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

7.1 რეკომენდაციების შესრულების დინამიკის მიმოხილვა

პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიშში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემულია 141 რეკომენდაცია/წინადადება. ამ რეკომენდაციებიდან 23 (16,3%) 2013 წლის ანგარიშშიც იყო მოცემული და ვინაიდან შესრულებისკენ მიმართული ნაბიჯები არ გადადგმულა, ისინი კვლავ აისახა 2014 წლის ანგარიშში.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების განხილვა/შესრულების უკეთესი კონტროლის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება დადგენილებაში აესახა სახალხო დამცველის რეკომენდაციები და შესაბამისი უწყებებისთვის მოეთხოვა რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია.

სახალხო დამცველმა 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოს პარლამენტს 2015 წლის 31 მარტს წარუდგინა. 2015 წლის 21 და 22 მაისს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სახელისუფლებო უწყებების წარმომადგენლებმა საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ 2013 წლის ანგარიშში მოყვანილი რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებები წარმოადგინეს.

ამის შემდგომ, უწყებებმა წარმოადგინეს საკუთარი პოზიცია 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში შესულ რეკომენდაციებთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პოზიციის წერილობით წარმოდგენისა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში მოცემულ 46 რეკომენდაციაზე ადრესატთა პოზიცია უცნობია.

ქვემოთ, წარმოდგენილი წერილობითი პოზიციების და მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დიაგრამაში მოცემულია რეკომენდაციების განხილვის/შესრულების მდგომარეობა:



სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიესალმება რეკომენდაციების ადრესატების მზაობას, გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები ანგარიშში ასახულ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით, თუმცა რეკომენდაცია/წინადადებათა დიდ ნაწილთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების პოზიციები უცნობია, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. გაზიარებულ რეკომენდაციათა შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც შეეხება სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფოტო გადაღების უფლების მინიჭებას; სისტემის თანამშრომელთა სწავლებას; სარემონტო სამუშაოების ჩატარებას; პოლიციის სამმართველოების სათვალთვალო კამერებით აღჭურვასა და ჩანაწერების შენახვას; სხეულის დაზიანებების დოკუმენტირების ახალი ფორმების შემუშავებას; პენიტენციურ ჯანდაცვაში სამოქალაქო ჯანდაცვის სტანდარტების იმპლემენტაციას და სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს; სუიციდის პრევენციის პროგრამის დახვეწას და სრულად დანერგვას; ოპიოდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის ხელმისაწვდომობას; ვირუსული „C“ ჰეპატიტის მკურნალობის კომპონენტის გავრცელებას ბრალდებულებზე; სამედიცინო რეფერალის სისტემის შემდგომ დახვეწას; დაავადებათა პრევენციას, სკრინინგს და ადრეულ გამოვლენას; სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობას და შშმ პატიმრებზე ზრუნვის სტანდარტების შექმნას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ტენდენციისა, რეკომენდაციების ადრესატების პოზიცია უცნობია ან არ არის გაზიარებული ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც მოიცავს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის სხვა დაწესებულებაში გადაყვანისა და პირადი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის შესახებ შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანას, ელექტრონული მეთვალყურეობის საკითხებს, მათ შორის, ამ ზომის გამოყენების დასაბუთების სტანდარტს და სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის პატიმართან კონფიდენციალურ შეხვედრაზე ელექტრონული მეთვალყურეობის დაუშვებლობას; სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვას და სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრის დაშვებას ამ ჩანაწერებზე; მსჯავრდებულთა რისკების შეფასების პრობლემურ საკითხებს; დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას; ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრას, სასჯელაღსრულების სისტემაში ფსიქიატრიულ დახმარებას; პოლიციის თანამშრომლების მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულყოფილად შევსებას.

სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი იმედს იტოვებს, რომ მომავალში შესაძლებელი გახდება ზემოთ მითითებულ, ძალიან მნიშვნელოვან რეკომენდაციებზე რეკომენდაციის ადრესატებთან შეთანხმება და რაც მთავარია, გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები ამ რეკომენდაციების შესასრულებლად. პრევენციის ეროვნული მექანიზმი აგრძელებს დიალოგს და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობაზე დაკვირვებას.

8. საკანონმდებლო მიმოხილვა

8.1 საკანონმდებლო წინადადებები და ცვლილებები კანონმდებლობაში

2015 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს პატიმრობის კოდექსში, მათ შორის:

2015 წლისა 1 ივლისიდან განხორციელდება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და სამინისტროში მისი ინტეგრაციის მიზნით, როგორც სტრუქტურული ქვედანაყოფი, იქმნება დეპარტამენტი.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით სამინისტროსთან იქმნება საკონსულტაციო საბჭო. ამ საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

პატიმრების სამარტოო საკანში მოთავსების 20 დღიანი ვადა შემცირდა და განისაზღვრა 14 დღით.

ცვლილების მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებაში კრიზისულ ვითარებად შეიძლება შეფასდეს მდგომარეობა, როდესაც სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების დარღვევა აშკარა საშიშროებას უქმნის პენიტენციური დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას და რომლის პენიტენციური დაწესებულების ძალებით, ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში აღმოფხვრა შეუძლებელია. მდგომარეობას კრიზისულ ვითარებად აფასებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს დეპარტამენტის დირექტორს. თუ დეპარტამენტის დირექტორი ინფორმაციის სათანადო დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ ვითარებას კრიზისულად მიიჩნევს, იგი ამის შესახებ ატყობინებს მინისტრს. კრიზისული ვითარების სამართავად დასაშვებია პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე დეპარტამენტის სპეციალური ინტერვენციების რაზმების შესაბამისი მოსამსახურეების მოქმედება. კრიზისული ვითარების მართვის წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

შემცირდა პატიმრის მიერ საჩივრის შეტანისთვის დადგენილ ვადა. ახალი რედაქციის მიხედვით, ნაცვლად 3 თვიანი ვადისა, საჩივრის შეტანა შესაძლებელია, შესაბამისი საფუძვლის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში. გარდა ამისა, კოდექსის ახალ რედაქციაში მითითებულია, რომ საჩივარი წარდგენილი უნდა იქნას წერილობითი სახით მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად.

ცვლილებები შედის პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის ფუნქციონირების წესში. სამინისტროს პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისია უქმდება და ეს ფუნქცია ადგილობრივ საბჭოებს

დარჩება, რომელთა გადაწყვეტილებების გადახედვის უფლება მხოლოდ სასამართლოს ექნება.

ცვლილებების თანახმად, პატიმრობის კოდექსით განსაზღვრულ სპეციალურ საშუალებათა ჩამონათვალში „რეზინის ხელკეტის“ ჩანაცვლება ხდება ტერმინით - „ხელკეტი.“

იზრდება ადმინისტრაცული პატიმრობის შეფარდების საფუძველთა ჩამონათვალი (90-ე მუხლის 1[1] ნაწილი). განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულებისთვის 90 დღე-ღამემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის დისციპლინური დარღვევების დროს: 1) დაწესებულების მოსამსახურისა და სხვა უფლებამოსილი პირისათვის მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაუმორჩილებლობა ან სხვაგვარი წინააღმდეგობის გაწევა; 2) განზრახი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აგრეთვე სხვა პირის ღირსებისა და ხელშეუხებლობის შელახვა; 3) ნებისმიერი სახის ინფორმაციის უკანონო ფორმით მიწოდება საკნიდან საკანში ან დაწესებულების გარეთ.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა და გააანალიზა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში. შესაბამისად, გამოიყენა რა თავისი უფლებამოსილება, კანონის პროექტის სრულყოფისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს პარლამენტს შესაბამისი წინადადებები წარუდგინა, კერძოდ:

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო საბჭოს დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, მნიშვნელოვანი იყო თავად კანონში განსაზღვრულიყო საბჭოს როლი და დანიშნულება. მითითებული წინადადება არ იქნა გაზიარებული.

საჩივრის შეტანის 3 თვიანი ვადის შემცირება აუარესებს პატიმრების მდგომარეობას, 1 თვიანი ვადა არ იქნება საკმარისი, ვინაიდან პატიმრებს შეზღუდულად აქვთ წვდომა გარესამყაროსთან, შესაბამისად, მათი მხრიდან ადვოკატთან ან სახალხო დამცველის წარმომადგენელთან დაკავშირება და მათი მეშვეობით საჩივრის მომზადება გარკვეულ დროს მოითხოვს, რაც 1 თვეს ხშირ შემთხვევაში შეიძლება აღემატებოდეს.

სახალხო დამცველის რეკომენდაციას წარმოადგენდა საჩივრის წარდგენის 3 თვიანი ვადა დარჩენილიყო უცვლელად, თუმცა ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული. სახალხო დამცველმა იმედი გამოთქვა, რომ მინისტრის მიერ დამტკიცებული წერილობითი საჩივრის ფორმები ხელმისაწვდომი იქნება პატიმრებისთვის და მათ მიერ ფორმის დაუცველობასთან დაკავშირებული ფორმალური მიზეზი არ გახდება საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს სახალხო დამცველი წლებია სწავლობს პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის მუშაობას და ავლენს ამ სფეროში არსებულ პრობლემებს. გამოკვეთილია პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა/გადაწყვეტის პროცესში არსებული საკანონმდებლო, თუ პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. ნაკლოვანებები ფიქსირდება, როგორც მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში, ასევე ადგილობრივი საბჭოების მიერ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შესაბამისად, მხოლოდ სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება ვერ გადაჭრის არსებულ პრობლემებს. მნიშვნელოვანია, მათ აღმოსაფხვრელად გატარდეს კომპლექსური ღონისძიებები, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პრაქტიკაში, რათა მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლება იყოს რეალიზებადი უფლება, დამკვიდრდეს საკითხის განხილვის განჭვრეტადი მექანიზმი, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს არაერთგვაროვან მიდგომას და პატიმრებში უსამართლობის განცდას. საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანონში პრინციპების დონეზე აღინიშნოს, რომ საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიიღებოდეს მხოლოდ ზეპირი მოსმენის საფუძველზე. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შემთხვევაში აუცილებელია, საბჭოს შემადგენლობას დაემატოს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი. სამწუხაროდ, აღნიშნული წინადადებები არ იქნა გაზიარებული.

ახალი რედაქციით, კანონი არ აკონკრეტებს რა მასალის იქნება სპეციალური საშუალება - ხელკეტი, რომელის გამოყენების უფლება ექნებათ დაწესებულების თანამშრომლებს.

მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს ამ საშუალების მახასიათებლები (მასალა და სხვა დეტალები), რათა გასაგები იყოს კანონით ნებადართული რა სახის სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება ეძლევათ დაწესებულების თანამშრომლებს. აღნიშნული წინადადება არ იქნა გაზიარებული.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, დაბალი რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ მსჯავრდებულს დისციპლინური დარღვევის ჩადენისათვის შეიძლება შეეფარდოს მაქსიმუმ 14 დღემდე სამარტოო საკანში მოთავსება, ხოლო ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღე-ღამემდე ვადით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მსჯავრდებული დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაში, განმეორებით ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას. მაშინ როდესაც, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში იგივე დარღვევისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე ვადით. აშკარაა, ერთი და იგივე ქმედებისთვის არსებითად განსხვავებული სახდელების შემოღების მიზეზს მსჯავრდებულის განსაკუთრებული რისკის პატიმრის სტატუსი წარმოადგენს. ამასთან, გაურკვეველია თუ რატომ არ შეიძლება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანი განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღწეულ იქნას სხვა სახდელების გამოყენებით და რატომ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული პატიმრობა უფრო ეფექტიანი მაშინ, როდესაც მისი აღსრულება პრაქტიკულად განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადის ამოწურვის შემდეგ ხდება. ხოლო, სხვა დისციპლინური სახდელების აღსრულება დაუყოვნებლივ ხდება. აშკარაა, რომ თვისობრივად ერთი და იგივე ქმედებისთვის შესაძლებელი ხდება არაპროპორციული სახდელების გამოყენება. მნიშვნელოვანია განისაზღვროს ადმინისტრაციული პატიმრობის ერთიანი სტანდარტი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღიდან შემცირდა 15 დღემდე, რაც უდავოდ პოზიტიურ ცვლილებად უნდა შეფასდეს.

მიგვაჩნია, რომ იგივე სტანდარტი უნდა გავრცელდეს პატიმრობის კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაზეც და პატიმრობაში მყოფი პირების მიმართაც მაქსიმუმ 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა უნდა იქნეს გამოყენებული.

სამწუხაროდ, არც აღნიშნული წინადადება არ იქნა გაზიარებული.

8.2 საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

8.2.1 არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთა დაცვის საშუალებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

არასათანადო მოპყრობის რისკი არსებობს ყველგან, ყველა ქვეყანაში და ყველა დროს[8]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეიქმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მსგავსი რისკების შემცირებას. ამ მიზანს ემსახურება წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია და მუშაობა იმაზე, რომ მოხდეს შესაბამისი რისკების ადრეული და დროული აღმოჩენა. წარმოუდგენელია ეფექტური პრევენცია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთათვის შესაბამისი უსაფრთხო საჩივრის წარდგენისა და განხილვის პროცედურების გარეშე. აღნიშნულის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მომჩივანთა დაცვა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისა თუ დაშინებისაგან და ადეკვატური სამართლებრივი გარანტიების შექმნა.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-13 მუხლი განამტკიცებს, რომ ყოველი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი პირისათვის, უზრუნველყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის უფლება და მიიღოს ყველა ზომები მომჩივანთა ნებისმიერი ფორმის დაშინებისგან დასაცავად.

შესაბამისი სტანდარტები აგრეთვე ასახულია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელოში, (სტამბულის პროტოკოლი) რომლის მიხედვით, ჯანდაცვის მუშაკებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ სასტიკი მოპყრობის ფაქტების შესახებ შეტყობინებათა წარდგენამ ხელისუფლებისათვის, შეიძლება ზიანი მიაყენოს პაციენტებს ან სხვა პირებს[9].
ევროპის წამების წინააღმდეგ კომიტეტის მიერ აღინიშნა, რომ მონიტორინგის განხორციელების

[8] Association for the Prevention of Torture, What is Torture? იხ. http://www.apt.ch/en/what-is-torture-prevention/

[9] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, (სტამბულის პროტოკოლი) იხ. http://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1en.pdf

შემდგომ პატიმრების მიმართ განხორციელებული რეპრესიები და დაშინება წარმოადგენს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მთავარ გამოწვევას.[10] შესაბამისად მნიშვნელოვანია, შემუშავებულ იქნეს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც გააძლიერებს ზედამხედველობას აღნიშნულ საქმეებთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჩივრის განმხილველი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის უსაფრთხოების საკითხის შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო სახალხო დამცველის ანგარიშში. არსებული პრაქტიკის მიხედვით, სავარაუდო მსხვერპლები რჩებიან იმავე დაწესებულებაში და შემდგომი დაკითხვისას, როგორც წესი, უარყოფენ არასათანადო მოპყრობის ფაქტს. ხშირია შემთხვევები, როდესაც საჩივრის წარდგენის შემდეგ გრძელდება მათზე ზეწოლა, რაც ხდება მათ მიერ ჩვენების შეცვლის საფუძველი. შესაბამისად სავარაუდო მსხვერპლის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა პირადი უსაფრთხოების მიზნით, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას წესი, რომელიც კრძალავს სასჯელაღსრულების დაწესებულების მენეჯმენტისა და თანამშრომლების მხრიდან მონიტორინგის შედეგად გამოკითხულ პირთა სახელების ჩაწერას.[11] გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დიდი რისკის შემცველ დაწესებულებებს, სადაც უნდა გაძლიერდეს დამოუკიდებელი მონიტორინგი.[12] დამატებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს თანამშრომელთა და პერსონალის განწესება სხვა მოვალეობაზე ან სავარაუდო მსხვერპლის გადაყვანა სხვა დაწესებულებაში. მნიშნელოვანია, აღნიშნული განხორციელდეს სავარაუდო მსხვერპლის თანხმობით იმ დაწესებულებაში სადაც მათი უსაფრთხოება იქნება გარანტირებული.[13]

საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, 2011 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა წარმოადგენს. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ დამატებითი გარანტიებით და დაცვით ნებისმიერი ძალადობის, ძალადობის მუქარის ან რაიმე სხვა ფორმით დაშინებისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გამოძიების დაწყებისთანავე სასამართლო პროცესის დასრულებამდე. სამწუხაროდ არ მომხდარა აღნიშნული სტრატეგიის ასახვა კანონმდებლობაში და მისი პრაქტიკაში გამოყენება.

წამების პრევენციის კომიტეტი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად ადგენს, რომ გამოძიების პერიოდში არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმყოფებოდეს იმ პირთა ზედამხედველობის ქვეშ, რომლებმაც სავარაუდოდ განახორციელეს მის მიმართ არასათანადო მოპყრობა.[14]

საქმეში პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „არასათანადო მოპყრობის ფაქტის ეფექტიანი გამოძიებისათვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმას, რომ განმცხადებლებს თავისუფლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება გამოძიების პროცესში, რაიმე სახის ზეწოლის გარეშე, რომელიც მიზნად ისახავს საჩივრის შეცვლას ან უკან გამოტანას. ამ კონტექსტში ზეწოლა მოიცავს არამხოლოდ პირდაპირ იძულებას ან აშკარა დაშინების ფაქტებს, ასევე გულისხმობს არასათანადო, არაპირდაპირ ქმედებებს ან კონტაქტებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს მომჩივანთა გადარწმუნება ან მათთვის დაბრკოლების შექმნა, რათა არ გამოიყენონ

[10] ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) 2013-2014 წლის ანგარიში. იხილეთ: http://www.cpt.coe.int/en/annual/CPT-Report-2013-2014.pdf

[11] სქოლიო, 10

[12] იქვე

[13] იქვე

[14] წამების პრევენციის კომიტეტის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით CPT/inf(2006) 24, პუნქტი 52. იხილეთ ასევე წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის 13 მაისს გაკეთებული საჯარო განცხადების I დანართი რუსეთის ფედერაციის, ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით CPT/inf (2007) 17, ფუნქტი 53.

კონვენციით უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის საშუალება“. [15]

8.3 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობაში

8.3.1 სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 14 დღემდე შემცირდა

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) შეფასებით, სამარტოო საკანში მოთავსებას შეიძლება უკიდურესად საზიანო ეფექტი ჰქონდეს პატიმრის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯამრთელობაზე და რაც უფრო დიდი ხნით ხდება სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსება, მით უფრო მეტი ზიანი ადგება მას. შესაბამისად, ხსენებული პრაქტიკა შეიცავს სერიოზულ საფრთხეს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თვალსაზრისით და აუცილებელია პატიმრის სამარტოო საკანში მოთავსების მაქსიმალური ვადა არ აღემატებოდეს 14 დღეს.[16] სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 1 მაისს პატიმრობის კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 14 დღემდე შემცირდა.

9. ფოკუსი

9.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წესრიგი და უსაფრთხოება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

ციხის კარგი მენეჯმენტი გულისხმობს სწორი ბალანსის შენარჩუნებას ციხის უსაფრთხოებას, კონტროლსა და სამართლიანობას შორის.[17] ევროპული ციხის წესების შესაბამისად, „ციხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს უზრუნველყოფილ უნდა იყოს ადამიანის ღირსებისა და პატივის შესაბამისი საცხოვრებელი პირობები და შეთავაზებულ იქნეს სხვადასხვა ღონისძიებებით დატვირთული პროგრამა“.[18] აღნიშნული დანაწესი მოითხოვს, ისეთი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემის დანერგვას, რომელიც შეინარჩუნებს ბალანსს უსაფრთხოებასა და იმ პროგრამებს შორის, რომლებიც შექმნილია პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. ეს გულისხმობს ციხეების ეფექტური მართვისათვის აუცილებელი სხვადასხვა კომპონენტების გათვალისწინებას.

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას. ზემოთქმული მიზნებისათვის, შესაძლებელია უსაფრთხოების კომპონენტების შემდეგი კლასიფიკაცია. ფიზიკური უსაფრთხოება, გულისხმობს შენობა-ნაგებობის ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს. მათ შორის შენობის კედლებს, ფანჯრებს, კარებს და ასე შემდეგ. პროცედურული უსაფრთხოება ეხება იმ მეთოდებსა და პროცედურებს, რომელიც არის ჩამოყალიბებული ციხის უსაფრთხოებისათვის. საუბარია გაქცევის თავიდან აცილებისა და წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელ არსებულ წესებზე.[19] უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას ე.წ. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგენს.

დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. ციხეში ინციდენტების მართვის გაეროს სახელმძღვანელოს თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს

---

[15] პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ, Popov v. Russia, judgment of 13 July, 2006, Application no. 26853/04 &246

[16] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 21-ე ზოგადი ანგარიში, გვ, 41 1 აგვისტო 2010 - 31 ივლისი 2011, იხილეთ: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-21.pdf

[17] Lord Justice Woolf, Prison Disturbances, April 1990 (The Woolf Report), 1991

[18] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, *„ევროპული ციხის წესები,“ წესი N49,* მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2, მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს.

[19] ენდრიუ კოილე, „ციხეების შესწავლის საერთაშორისო ცენტრი“ „ციხის მართვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით“ 2009, იხილეთ: http://www.prisonstudies.org/ ნანახია: 15.02.2015

უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[20]

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობაა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, პატიმრებს გააზრებული ჰქონდეთ, რომ დაწესებულებაში არსებული წესები და პროცედურები უსაფრთხო და ადამიანური გარემოს შესაქმნელად არის დაწესებული. პატიმრები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მოეპყრობიან სამართლიანად და დაიცავენ მათ უფლებებს. აფრიკის სპეციალური მომხსენებლის ერთ-ერთ ანგარიშში აღინიშნა, რომ ადმინისტრაციის წინაშე მდგარი მწვავე გამოწვევის მიუხედავად, ციხის ხელმძღვანელის მიერ არჩეული ჰუმანური და პატივისცემით მოპყრობა საკუთარი უფლებამოსილების დათმობის გარეშე, მიჩნეულ იქნა, როგორც პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის არსებული სამაგალითო ურთიერთობა.[21]

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის პირობებში დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკაში აუცილებელია ძალისა და იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება. პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორიცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვას და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენებას.[22]

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.[23] ეს გულისხმობს იმას, რომ დამატებითი უსაფრთოხების ზომის გამოყენება უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ზომა. ძალისა თუ იძულების სხვა ღონისძიების გამოყენება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ადეკვატური პროცედურებისა და პრაქტიკაში არსებული საუკეთესო მაგალითის გამოყენებით. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ზოგადად კონფლიქტური, დაძაბული და არაკეთილგანწყობილი ურთიერთობაა, რასაც რამდენიმე ფაქტორი ქმნის, მათ შორის, პატიმრებს შორის უსამართლობის განცდა, მოთხოვნებზე და საჩივრებზე არასათანადო რეაგირება, დაწესებულებებში არსებული არადამაკმაყოფილებელი პატიმრობის პირობები, ზოგიერთ შემთხვევაში სტანდარტების შეუსაბამო ფიზიკური გარემო, უმეტეს შემთხვევაში კი რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის აქტივობების ნაკლებობა, დაწესებულების თანამშრომელთა ცოდნის და კვალიფიკაციის დაბალი დონე, ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალდამოკიდებულებისა და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების შემთხვევების არაადეკვატური მართვა, სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები, სასჯელაღსრულების სისტემაში ხელმისაწვდომი სერვისების და ამ სერვისების მიღების პროცედურის შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დაბალი დონე და ა.შ.

10. ექსპერტის მოსაზრება

ცირა ჭანტურია

ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ რეგიონული დირექტორი

„არასათანადო მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში - რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს რეაგირება?“

[20] United Nations Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22.

[21] AU African Commission on Human and Peoples' Rights (2002) Prisons in Cameroon: *Report to the Government of the Republic of Cameroon on the visit of the Special Rapporteur on Prisons and Conditions of Detention in Africa From 2 to 15 September 2002*. Banjul: ACHPR, Available at: http://www.achpr.org/ last visited: 05.03.2015

[22] სქოლიო, 17

[23] UN General Assembly, *Code of conduct for law enforcement officials*, 5 February 1980, A/RES/34/169, available at: http://www.refworld.org/docid/48abd572e.html last visited: 09.03.2015

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისა და სახელმწიფოს რეაგირების თემატიკა მეტად მტკივნეული საკითხია ჩვენი საზოგადოებისათვის გამომდინარე ახლო წარსულში სწორედ პენიტენციურ სისტემაში სისტემური და მასშტაბური წამების პრაქტიკის და მისი თანამდევი დაუსჯელობის პრობლემიდან.

ამ მნიშვნელოვან გამოწვევასთან ეფექტიანი გამკლავება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური ძალისხმევის გაწევის საჭიროებას მისი საერთაშორისო თუ ეროვნული პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. სადავო არ უნდა იყოს, რომ ამ პრობლემის ეფექტიანი დაძლევისათვის საჭიროა მტკიცე და მკაფიო პოლიტიკური ნება, მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები (იმ პირთა, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას/მონიტორინგს, გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, სასჯელის დაკისრებას), ციხეებში არსებული ინსტიტუციური კულტურის გარდაქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სასარგებლოდ, ძალადობის კულტურის დაძლევისაკენ მიმართული თანმიმდევრული ძალისხმევა და შემართება. არასათანადო მოპყრობისა და მასზე ადეკვატური რეაგირების ნაკლებობის პრობლემა უნდა დაიძლიოს ეფექტიანი ინსტიტუციური და საკანონმდებლო, პრაქტიკული ღონისძიებებით, ისე, რომ არც ხელისუფლება და არც საზოგადოება არ დარჩეს ამ პრობლემის მძევლად.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს. იგივე მოსაზრებას იზიარებს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაც. 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, თომას ჰამარბერგმა აღნიშნა, რომ

„საქართველოს ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს წარსულში ჩადენილ უსამართლობებს და შექმნას სისტემა, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს ასეთი დარღვევების პრევენციას მომავალში. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ბრალდების დროული, ზედმიწევნითი და ეფექტიანი გამოძიება. აუცილებელია ამ გამოწვევასთან დაუყოვნებლივ გამკლავება. პირველ ყოვლისა კი, ეს პოლიტიკურ ნებას ეხება“.

ნავანეთე პილეიმ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, 2014 წლის 21 მაისის ვიზიტისას, საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პოლიციის და სხვა სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე.

რას ნიშნავს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიერ?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის/პრაქტიკის მიხედვით და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციების თანახმად, ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმებია: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ზედმიწევნითობა; დროულობა; კომპეტენცია; მსხვერპლის მონაწილეობა საზოგადოებრივ კონტროლში.

გაეროს პრინციპები წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ, შემდეგ მოთხოვნებს აწესებს:

- ✓ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრების/განცხადებების სწრაფად და ეფექტიანად გამოძიება საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა მინიშნებები, რომ მოხდა წამება/არასათანადო მოპყრობის ფაქტი;
- ✓ ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, პერსონალური დამოუკიდებლობა; კომპეტენტური და მიუკერძოებელი გამომძიებლები;
- ✓ გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება, საგამოძიებო მოქმედებების, მიუკერძოებელ სამედიცინო და სხვა ექსპერტიზაზე ხელმისაწვდომობა;
- ✓ უმაღლესი პროფესიონალური სტანდარტები;
- ✓ დასკვნების საჯაროობა;
- ✓ საკმარისი მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსები;
- ✓ სავარაუდო მსხვერპლების, მოწმეების, მათი ოჯახების დაცვა ძალადობის, ძალადობის მუქარის, დაშინების თუ შურისძიებისაგან;
- ✓ წამების/არასათანადო მოპყრობის რეციდივის აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირება და გატარება;
- ✓ წამებისა და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ჩამდენების ჩამოშორება მომჩივნებზე, მოწმეებსა და მათი ოჯახის წევრებზე, ასევე, გამომძიებლებზე პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლის ან მათზე ძალაუფლების განხორციელების ყოველგვარი საშუალებიდან.

სავარაუდო მსხვერპლებისა და იურიდიული წარმომადგენლების შეტყობინება საქმეზე მოსმენის შესახებ; გამოძიებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვის; სხვა მტკიცებულებების წარმოდგენის უფლებამოსილების მინიჭება.

როდესაც საგამოძიებო პროცედურები უშედეგოა არასაკმარისი ექსპერტიზის, სავარაუდო მიკერძოების, უფლებამოსილების გადამეტების ან სხვა მიზეზთა გამო, გამოძიება უნდა წარმიმართოს დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის მიერ, ან მსგავსი პროცედურების გამოყენებით. (კომისიის წევრებისთვის დადგენილი მოთხოვნებია: მიუკერძოებლობა, კომპეტენტურობა, დამოუკიდებლობა, გამოძიებისთვის აუცილებელ ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების უფლებამოსილება; გამოძიების წარმოების უფლებამოსილება; წერილობითი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება;)

კონკრეტული ეთიკური და პროფესიული სტანდარტები სამედიცინო ექსპერტებისათვის - წერილობითი ანგარიშის წარდგენისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადადგან ეფექტური ნაბიჯები სათანადო მტკიცებულებების მოსაპოვებლად (თვითმხილველის ჩვენებები, სამედიცინო მტკიცებულებები, აუტოპსია), იმისათვის რომ გამოძიებას ქონდეს დამნაშავეების დადგენის და დასჯის შესაძლებლობა. გამოძიება ეფექტური უნდა იყოს იმ თვალსაზრისით, რომ შეეძლოს რელევანტური ფაქტების დადგენა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გადადგან გონივრული ნაბიჯები, მათი შესაძლებლობების ფარგლებში, რათა მოიპოვონ ყველა მტკიცებულება შემთხვევასთან დაკავშირებით. გამოძიების დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს ყველა რელევანტური ელემენტის ზედმიწევნით, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც აკნინებს მის უნარს დაადგინოს საქმის გარემოებები ან პასუხისმგებელი პირები ვერ დააკმაყოფილებს ეფექტურობის მოთხოვნილ დონეს (ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ).

საგამოძიებო სისტემა უნდა გამორიცხავდეს ნებისმიერი სახის იმუნიტეტს ან სხვა ფორმალურ ბარიერებს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ გამოძიებას, უნდა უზრუნველყოფდეს რომ მსხვერპლმა ან მოწმემ ისარგებლოს დაცვის ღონისძიებებით, მათ შორის ინციდენტში გარეული პირებისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების ან ოფიციალური უფლებამოსილების დროებითი შეჩერებით.

სამწუხაროდ, საქართველოში იმ პატიმრებს, რომლებიც აცხადებენ არასათანადო მოპყრობის შესახებ, იმავე დაწესებულებაში ტოვებენ. რეკომენდაცია ამ მიმართულებით მათი სხვა დაწესებულებაში გადაყვანა უნდა იყოს. ამასთან, პრობლემურია წამებისა და არაადამიანური მოპყრობის დანაშაულების სწორი მუხლით კვალიფიკაცია; გამოძიებისა და ციხეებში სამედიცინო დოკუმენტირების წარმოება არ ხდება სტამბოლის ოქმის მიხედვით და არ არსებობს სპეციალიზებული საგამოძიებო დანაყოფი/მექანიზმი.

იმედს ვიტოვებთ, 2015 წელი იქნება გარდამტეხი წელი საქართველოს ხელისუფლებისათვის წამებასთან ბრძოლის ინსტიტუციური თუ საკანონმდებლო მექანიზმების გასაძლიერებლად, არასათანადო მოპყრობაზე მომჩივან თავისუფლებააღკვეთილ პირთა დაცვის გარანტიების შესაქმნელად. ამ მხრივ, აღსანიშნავია წამებასთან ბრძოლის ახალი 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ჩვენი მოწოდება ხელისუფლებისადმი არის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შესაბამის სამოქმედო გეგმებში გაწერილი ამოცანების ზედმიწევნით შესრულება, რათა პროგრესი დავინახოთ ამ სფეროში.

11. საერთაშორისო სიახლეები

11.1 წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის მერვე ყოველწლიურ ანგარიშის მთავარი აქცენტები[24]

გაეროს ქვეკომიტეტის მერვე ყოველწლიურ ანგარიშში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შესახებ წარმოადგენს გაეროს ქვეკომიტეტის 2014 წლის მუშაობის მიმოხილვას.

გაეროს წამების წინააღმდეგ ქვეკომიტეტის მიერ ხაზგასმული წლევანდელი წლის ძირითადი აქცენტები:

კავშირი წამებასა და მსჯავრდებულთა ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ან სხვა საკანში გადაყვანას შორის

გაეროს წამების ქვეკომიტეტის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პატიმართა გადაყვანა ციხის კარგი ადმინისტრაციის პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო გადაწყვეტილებად, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებები არ

[24] წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის მერვე ყოველწლიურ ანგარიში, იხილეთ: http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=CAT/C/54/2

იქნეს მიღებული დაუსაბუთებლად, არ იყოს არაპროპორციული ან გამოყენებულ იქნეს პოლიტიკური მიზნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უკანონო ან მიჩნეულ იქნას, როგორც კანონის გარეშე მიღებული ადმინისტრაციული სახდელის ფორმა. ასეთმა გადაყვანამ ან გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს არასათანადო მოპყრობა და სხვადასხვა შედეგი პატიმრებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის და ზოგ შემთხვევაში საზოგადოებისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება გადაყვანის ან გადაადგილების შესახებ მიღებულ იქნეს გამჭვირვალედ, შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და ის მიღებული იქნეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ ან სასამართლო კონტროლის შედეგად. ეს ნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და კანონიერი.

წინასწარი პატიმრობა და წამებისა და სხვა არაადამიანური მოპყრობის პრევენცია

ქვეკომიტეტმა დააფიქსირა, რომ წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში პირობები ზოგ შემთხვევაში უარესია ვიდრე თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფი პატიმრები ხშირ შემთხვევაში მოკლებულნი არიან ზოგ უფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც არსებობს სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აღსანიშნავია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია ადეკვატური პირობები, უდანაშაულობის პრეზუმციის კონტექსტიდან გამომდინარე.

დამატებით, ზოგიერთი სახელმწიფო არ ავრცელებს ზოგიერთი პატიმრისათვის დაწესებულების სრული სერვისების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ყველა თავისუფლებააღკვეთილმა პირმა უნდა ისარგებლოს სრული უფლებებითა და შესაძლებლობებით და არ უნდა მოხდეს მათი დისკრიმინაცია.

გენდერზე ორიენტირებული პერსპექტივის საჭიროება

ქვეკომიტეტის ყოველწლიურ ანგარიშში საუბარია ქალ პატიმართა უფლებრივ მდგომარეობაზე, კერძოდ კი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ არსებული ყურადღების ნაკლებობაზე. ასევე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

12. მომავალი ღონისძიების შესახებ ანონსი

სახალხო დამცველის აპარატში ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სასჯელაღსრულების #14 დაწესებულებაში, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით პატიმრების ინტერვიუირება ჩაატარა. ამჟამად მიმდინარეობს მიღებული ინფორმაციისა და სხვა მასალების ანალიტიკური დამუშავება.

კვლევის შედეგების საფუძველზე, 2015 წლის სექტემბრის თვეში გამოიცემა ანგარიში, რომელიც მოიცავს:

- საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურისა და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზს საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში;
- საჩივართა/მოთხოვნათა განხილვისა და შიდა მონიტორინგის პრაქტიკის ანალიზს;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ პატიმართა ინფორმირებულობის დონის შეფასებას;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებების მიმართ პატიმართა დამოკიდებულების შეფასებას;
- სხვადასხვა უწყებებისადმი მომზადებულ შესაბამის რეკომენდაციებს.

საკონტაქტო ინფორმაცია / რეგიონალური ოფისები

თბილისი

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 2913841
ელ-ფოსტა:
info@ombudsman.ge

მარნეული

რუსთაველის ქ. 51
ტელ: 0357 22 19 70
მობ: 593 17 18 55

ახალქალაქი

ჭავჭავაძის ქ. 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70 ; 577 12 27 71

გორი

სამების ქ. N1
ტელ: 0370 27 05 49
მობ: 577 78 27 42

ზუგდიდი

კოსტავას ქ. 58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

ქუთაისი

რუსთაველის ქ. 18
ტელ: 0431 25 33 50
მობ: 577 55 33 81

ბათუმი

მაზნიაშვილის ქ. 9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 577 50 52 31

თელავი

ჩოლოყაშვილის ქ. 36
მობ: 591 88 35 38
ტელ: 0350 27 99 27